საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

საქართველოს კომპარტიის საარევიზიო კომისიის ანგარიში

მომხსენებელი ამხ. დ. ვ. გელაშვილი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 24 (11028) | ოთხშაბათი, 29 იანვარი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

28 იანვრის დილის სხდომა

გუშინ, 28 იანვარს, მუშაობას განაგრძობდა საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობა.

ყრილობა მიმდინარეობს მაღალი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში. როგორც ვიუწყებოდით, 27 იანვარს ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **ვ. პ. მუავანაძის** საანგარიშო მოხსენება დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს არა ერთხელ გაისმოდა მქუხარე ტაში.

28 იანვარს, დილის 10 საათზე, გაიხსნა ყრილობის მეორე სხდომა, თავმჯდომარეობდა ამხანაგი **გ. დ. ჯავახიშვილი.**

სხდომაზე დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

კამათში გამოვიდნენ: ამხ. **გ. ა. გეგეშიძე** — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, **ე. პ. ტაკიძე** — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, **მ. თ. ბლაუბა** — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **თ. ბ. ჯანელიძე** — საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, **ზ. მ. ბიძინაშვილი** — საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი, **გ. ი. ქადაგიძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **დ. მ. მამულაძე** — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **გ. გ. სანაკოევი** — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **ი. ბ. აბაშიძე** — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, **ნ. ფ. პაპივინი, გ. ა. ალავიძე** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი, **ზ. ი. თავზარაშვილი** — საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი, **ფ. დ. დუმბაძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობისადმი.

ამით დამთავრდა დილის სხდომა. (საქდესი).

28 იანვრის საღამოს სხდომა

28 იანვარს საღამოს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობდა ამხ. **გ. ი. ქადაგიძე.**

გრძელდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხანაგებმა **ი. ს. ორჯონიკიძემ** — ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა, **გ. დ. ჯავახიშვილმა** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, **ე. ა. შევარდნაძემ**—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, **დ. გ. მამაცაშვილმა** — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა, **ვ. ვ. სიხარულიძემ** — თიანეთის რაიონის სოფელ ბალებისხევის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ თავმჯდომარემ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობის მისასალმებლად მოვიდნეს ხორჩი პიონერები. დელეგატები ფეხზე დგებიან, მხურვალე ტაშით ხვდებიან მათ.

ბავშვებს ხელში უჭირავთ წითელი დროშები, ცოცხალი ყვავილები, ფერადფერადი საჰაერო ბურთები. რამდენიმე ქალვაჟი კითხულობს ლექსად დაწერილი მისალმების ტექსტს. მისალმებაში გამოთქმულია უსაზღვრო სიყვარული და მადლობა მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი სასიხარულო, ბედნიერი ბავშვობისათვის. დარბაზში გაისმის პიონერთა წკრიალა ხმები, ისინი ორკესტრის აკომპანემენტით ასრულებენ „სიმღერას პარტიაზე“.

ყრილობის დელეგატები გულთბილად აცილებენ ნორჩ ლენინელებს.

შემდეგ განახლდა კამათი. გამოვიდნენ ამხანაგები **ნ. ი. მუსხელიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, **ი. ს. დოლიძე**—საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **ს. ნ. ტულჩინი** — საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი, **ს. ა. შარაძენიძე** — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, **კ. ი. ბარიგიანი** — საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი.

ყრილობამ შექმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლუციის პროექტის შემმუშავებელი კომისია.

დელეგატებმა ტაშის გრიალში მიიღეს მისალმება აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი.

ამით დამთავრდა მესამე სხდომა.

დღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა გახაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ასახულია ჩვენი ქვეყნის მშრომელების მიერ მიღწეული უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის წარმატებანი. ეს წარმატებები მიღწეულია ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების შესაბამისად, სარევიზიო კომისია სისტემატურად ამოწმებდა პარტიული ორგანიზაციის საფინანსო მეურნეობას და კონტროლს უწევდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მიმდინარეობას.

უნდა მოვახსენო ყრილობას, რომ საანგარიშო პერიოდში როგორც ცენტრალური კომიტეტის აპარატში, ისე საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში სერიოზულად გაუმჯობესდა საფინანსო-საბიუჯეტო მუშაობის ხარისხი, განმტკიცდა საბიუჯეტო დისციპლინა, გაუმჯობესდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა პარტიული საწევრო ანარიცხების გადახდევინებისა და ჩაბარების საქმეში, გაძლიერდა კონტროლი მშრომელთა განცხადებების გავლისადმი.

პარტიული ბიუჯეტით 1955 წელს გათვალისწინებული შემოსავალი შესრულებულ იქნა 105,3 პროცენტით. 1956 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 106,2 პროცენტით, ხოლო 1957 წლის 11 თვის პარტიული ბიუჯეტი -- 93,5 პროცენტით.

პარტიულ საწევრო ანარიცხებს დიდი ხვედრითი წონა აქვს პარტიული ბიუჯეტის საერთო შემოსავალში. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე პარტიული გამომცემლობის შემოსავალი. ამ შემოსავალმა 1955 წელს შეადგინა 3.351.700 მანეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.750.000 მანეთისა. 1956 წელს გეგმით გათვალისწინებული 3.432.000 მანეთის ნაცვლად შემოსავალმა შეადგინა 3.618.700 მანეთი, ხოლო 1957 წლის 11 თვეში შემოვიდა 3.552.000 მანეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.744.200 მანეთისა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, სისტემატურად გზავნიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ანგარიშებს პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების მიერ პარტიული საწევრო ანარიცხების გადახდის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ისე პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს ალმზრდელობითი მუშაობა კომუნისტებს შორის. ამის შედეგად პარტიის წევრები და წევრობის კანდიდატები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების შესაბამისად დროზე იხდიან პარტიულ საწევრო ანარიცხებს.

მაგრამ პარტიის ზოგიერთი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტი ზოგჯერ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს პარტიული საწევრო ანარიცხების დროზე გადახდევინებას და ანგარიშების წარდგენას, ურიგდება საფინანსო დისციპლინის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს, აჭიანურებს მშრომელთა განცხადებების განხილვას, დროზე არ აძლევს პასუხს ამ განცხადებებზე.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია არღვევს საფინანსო დისციპლინას და ურიგდება სახსრების გადახარჯვას.

საანგარიშო პერიოდში სარევიზიო კომისიამ რამდენჯერმე სპეციალური აქტებით გააფრთხილა პარტიის ცალკეული საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, რომლებიც უშვებდნენ პარტიული საწევრო ანარიცხების დავალიანების ზრდას. მაგრამ ყველა მათგანს როდი გამოუტანია თავისთვის დასკვნები. პარტიული საწევრო ანარიცხების დავალიანებაა აჭარის საოლქო, გორის, ფოთისა და რუსთავის საქალაქო, ორჯონიკიძის (ქ. თბილისი), ხაშურის, ცხაკაიას რაიონულ და ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციებში. მომავალში პარტიულმა ორგანიზაციებმა არ უნდა დაუშვან პარტიული საწევრო ანარიცხების დავალიანება, ბოლომდე აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ამ საქმეში.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არასაკმაოდ განუმარტავს კომუნისტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციას საწევრო ანარიცხების გადახდის შესახებ. ამის გამო არის შემთხვევები, როცა კომუნისტები დროზე არ იხდიან საწევრო ანარიცხებს ან იხდიან ნაკლები რაოდენობით, ვიდრე სკკპ წესდებით არის გათვალისწინებული.

ასეთი ფაქტები აღნიშნული იყო ზესტაფონის, ზუგდიდის, აბაშის, ახალქალაქის რაიონული, ჭიათურის საქალაქო და ზოგიერთი სხვა პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებაში.

ჩვენი საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ მუშაობის ამ უბანს.

პარტიული ბიუჯეტი ძირითადად დამაკმაყოფილებლად სრულდება როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები საანგარიშო პერიოდში სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ დამტკიცებული სახსრების სწორ ხარჯვას, რის შედეგადაც გაუმჯობესდა მათი გამოყენება.

ამასთან ერთად პარტიის ზოგიერთ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტში არის შემთხვევები გადახარჯვისა ცალკეული მუხლების მიხედვით, კერძოდ ტრანსპორტის შენახვასა და მივლინებებზე. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ტრანსპორტის შენახვაზე გადახარჯულია 150.000 მანეთი.

ასეთი ფაქტები აღარ უნდა გამეორდეს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობა მეტ დახმარებას უნდა უწევდეს ადგილებს, მან უნდა გააძლიეროს კონტროლი იმისადმი, თუ როგორ იბრძვიან პარტიული ორგანიზაციები საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

უნდა მოგახსენოთ, რომ პარტიული დოკუმენტების გამოცვლის შემდეგ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კომუნისტების აღრიცხვა, ახლა მეტი ყურადღება ექცევა პარტიული მეურნეობის გაძღოლას. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში სისტემატურად მოწმდება კომუნისტთა ანგარიშგების მდგომარეობა.

პარტიის ზოგიერთი რაიონული და საქალაქო კომიტეტი დიდი დაგვიანებით აძლევს პარტიულ დოკუმენტებს როგორც პარტიაში ახალმიღებულებს, ისე აღდგენილებს. ამით ისინი უხეშად აღღვევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციას პარტიული დოკუმენტების გაცემის შესახებ, იმის მოთხოვნას, რომ პარტიული დოკუმენტების გაცემა ხდებოდეს არა უგვიანეს 10 დღისა პარტიაში მიღების ან აღდგენის შემდეგ. დაგვიანებით გასცემენ ხოლმე პარტიულ დოკუმენტებს გორის, ბათუმის, ფოთის საქალაქო კომიტეტები, ადიგენის, თეთრი წყაროს, ქარელის, თერჯოლის რაიკომები და ზოგიერთი სხვა პარტიული კომიტეტი.

ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქმე მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წერილების განხილვისა როგორც ცენტრალურ კომიტეტში, ისე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში, შემცირდა განცხადებების განხილვის, მათი გავლის ვადები, გაძლიერდა კონტროლი ამ დარგში. სარევიზიო კომისიამ შეამოწმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები. შემოწმებით გამორკვეულია, რომ განყოფილებებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წერილების დროზე განხილვისათვის. ცენტრალური კომიტეტის როგორც ბიუროზე, ისე სამდივნოში ხშირად განიხილავენ განცხადებებისა და საჩივრების გავლასთან, მათ აღრიცხვასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს. გაუმჯობესეს თავიანთი მუშაობა ამ მიმართულებით ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმაც.

განცხადებები შედის ძირითადად პენსიების დანიშვნის საკითხზე, კანონიერების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის საკითხებზე და ა. შ.

საანგარიშო პერიოდში საკმაოდ კარგად მუშაობდა პარტიული კომისია. მან განიხილა მთელი რიგი პერსონალური და სააპელაციო საქმეები. მაგრამ პარტიული კომისიის მუშაობაში არის ნაკლოვანებანი — ირღვევა საქმეთა განხილვის ვადები. პარტიული კომისიის მუშაკებმა უნდა გაითვალისწინონ ეს გარემოება, გამოასწორონ მდგომარეობა და შემდეგში არ დაუშვან საქმეთა განხილვის გაჭიანურება.

შემოწმებით გამორკვეულია, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთ განყოფილებაში ადგილი ჰქონდა მშრომელთა განცხადებების, წერილებისა და საჩივრების განხილვის გაჭიანურების ფაქტებს.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ზოგიერთი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტი, აგრეთვე სამინისტროები დროზე არ გზავნიან პასუხს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში. ეს გარემოება აძნელებს განყოფილებათა მუშაობას. შეუძლებელს ხდის განცხადებათა ავტორებისათვის პასუხის დროზე გაცემას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა მუშაკები შემდეგში უფრო ოპერატიულად, ყურადღებით და გულსხმიერად უნდა მოეკიდონ მშრომელთა განცხადებებს, საჩივრებსა და წერილებს, დროზე განიხილონ ისინი, მისცენ პასუხი, მიიღონ საჭირო ღონისძიებანი. იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღნიშნული იყო მოხსენებაში როგორც საბიუჯეტო დისციპლინის. ისე მშრომელთა განცხადებების განხილვის დარგში, დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების სარევიზიო კომისიების მუშაობას.

აგრეთვე უნდა მოგახსენოთ, რომ ნაკლოვანებები არის საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის მუშაობაშიც. არ ხორციელდება სისტემატური კონტროლი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების გავლაზე, ნაკლები ყურადღება ექცევა ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვას და ა. შ.

ამხანაგებო! საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ძალების დაუზოგავად იბრძოლებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება

მომხსენებელი ამხ. ი. გ. რთველიაშვილი

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის შემდეგ განვლილი ორი წლის მანძილზე საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლენები მოხდა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობა, რომელმაც დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა.

განუხრელად ასრულებს რა პარტიის XX ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. მან დიდი მუშაობა გასწია პარტიული რიგების შემდგომი ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

სამანდატო კომისია მოახსენებს ყრილობას, რომ საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატების არჩევნები მოხდა წესდების მოთხოვნებისა და „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის ზუსტი შესაბამისობით.

როგორც გადამწყვეტი ხმის უფლების, ისე სათათბირო ხმის უფლების მქონე ყველა დელეგატი არჩეულია დახურული (ფარული) კენჭისყრით და მათ ხმების საჭირო რაოდენობა მიიღეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებში არ შემოსულა არავითარი საჩივრები და განცხადებანი არჩევნების არასწორი ჩატარების, შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპის დარღვევის ან კომუნისტთა უფლებების შელახვის შესახებ.

წარმომადგენლობის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, კონფერენციებზე არჩეულ იქნა გადამწყვეტი ხმის უფლებით ერთი დელეგატი პარტიის 250 წევრზე და სათათბირო ხმის უფლებით ერთი დელეგატი სკკპ წევრობის 250 კანდიდატზე.

სამანდატო კომისიამ სწორად ცნო ყველა არჩეული დელეგატის რწმუნებანი.

სულ არჩეულია 813 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 27 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

ყრილობას ესწრება გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე 803 დელეგატი და სათათბირო ხმის უფლების მქონე 27 დელეგატი. ყველა დანარჩენი დელეგატი არ ესწრება საპატიო მიზეზების გამო.

მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობაზე დასასწრებად არჩეულია 51 დელეგატი მეტი, ვიდრე არჩეული იყო წინა ყრილობაზე დასასწრებად. დელეგატთა რიცხვის გადიდება აიხსნება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ზრდით. საანგარიშო პერიოდში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებულია 11.073 კაცი, რომელთაგან 71 პროცენტს მუშები და გლეხები შეადგენენ.

ამჟამად საქართველოს პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს 196.786 კომუნისტს, მათ შორის 189.257 პარტიის წევრსა და 7.529 წევრობის კანდიდატს.

ყრილობას ესწრებიან 3 საოლქო, 6 საქალაქო და 56 რაიონული პარტიული ორგანიზაციის დელეგატები.

აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და თბილისის პარტიული ორგანიზაციებისაგან ყრილობის დელეგატები არჩეულ იქნენ საოლქო და თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე.

ყველაზე მეტი დელეგატებით ყრილობაზე წარმოდგენილი არიან: თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია — 215 კაცი, აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია — 71 კაცი, აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაცია — 58 კაცი.

ყრილობაზე დელეგატთა დიდი ჯგუფებით წარმოდგენილი არიან ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს 31 დელეგატი, სამხრეთ ოსეთის — 24, მახარაძის — 21, ზუგდიდის — 17, ფოთის — 17, ხაშურის — 15, სამტრედიის -- 14, ახალქალაქის — 14, ზესტაფონის — 13, რუსთავის — 12 დელეგატი.

XVII ყრილობის შემდეგ განვლილი ორი წლის მანძილზე შეიქმნა 300 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, და ახლა რესპუბლიკაში 10.000 პარტიული ორგანიზაციაა.

1958 წლის 1 იანვრისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციებია მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და მშენებლობის 1.700 საწარმოში, 2.229 — კოლმეურნეობებში, 109 — საბჭოთა მეურნეობებში და 96 — მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატებად არჩეული არიან რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოციალისტური მეურნეობის თითქმის ყველა დარგის მუშაკები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

XVIII ყრილობას გაცილებით მეტი, ვიდრე XVII ყრილობას, ესწრებიან დელეგატები, რომლებიც უშუალოდ ქმნიან მატერიალურ დოვლათს — მუშები და კოლმეურნეები.

მაგალითად, გადამწყვეტი ხმის უფლებით დელეგატებად არჩეული არიან მრეწველობის, ტრანსპორტის მუშები, ტრაქტორისტები და კომბაინერები — 78 კაცი, კოლმეურნეები — 116 კაცი.

ყრილობის დელეგატთა შორის არიან: 175 პარტიული, 154 საბჭოთა, 11 კომკავშირული, 15 პროფკავშირული მუშაკი, 67 საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელი, 18 საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორი, 80 მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკი, 7 სახალხო განათლების მუშაკი, 5 ჯანმრთელობის დაცვის მუშაკი, 17 სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკი, 12 ძველი ბოლშევიკი. 55 დელეგატი ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელია.

ყრილობის დელეგატებს შორის 31 სოციალისტური შრომის გმირია, 8 საბჭოთა კავშირის გმირი, 10 ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი; 659 დელეგატი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, მათ შორის 384 დელეგატს აქვს მთავრობის 3 და მეტი ჯილდო.

დელეგატებს შორის 34 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 188 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 36 ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატი და 338 ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი.

მეტად დამახასიათებელია დელეგატთა შემადგენლობა განათლების მიხედვით.

დელეგატთა შორის უმაღლესი განათლების მქონეა 493, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე—78, საშუალო განათლების მქონე —105. უმაღლესი განათლების მქონე დელეგატებიდან 140 ინჟინერი, 94 აგრონომი, ზოოტექნიკოსი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტებია. 17 იურისტი, 31 ეკონომისტი, 16 ექიმი. 195 დელეგატს დამთავრებული აქვს პედაგოგიური და სხვა უმაღლესი სასწავლებლები.

57 დელეგატს აქვს მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ეს ციფრები მოწმობენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წევრთა განუხრელ კულტურულ ზრდას, იმას, რომ საბჭოთა ინტელიგენცია უდიდეს მუშაობას ეწევა ჩვენი სახელმწიფოს ტექნიკური შეიარაღებისა, და ძლიერების გადიდებისათვის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ მოგახსენოთ დელეგატების შემადგენლობა პარტიული სტაჟისა და ასაკის მიხედვით.

პარტიული სტაჟის მიხედვით დელეგატთა შემადგენლობას ახასიათებს შემდეგი მაჩვენებლები: 9 დელეგატი პარტიაში შევიდა 1917 წლამდე; 12 დელეგატი — 1917 წლიდან 1920 წლამდე; 70 დელეგატი — 1921 წლიდან 1930 წლამდე; 317 დელეგატი — 1931 წლიდან 1940 წლამდე; 231 დელეგატი სკკპ რიგებში შევიდა სამამულო ომის წლებში; 174 დელეგატი პარტიაში შევიდა 1946 წელს და უფრო გვიან.

გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე დელეგატთა შორის 40 წლამდე ასაკისაა 242 კაცი, 41-დან 50 წლამდე ასაკისა — 433, 51 წელზე უხნესი — 138 კაცი.

ჩვენს ყრილობას ესწრება 149 დელეგატი ქალი — სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების თითქმის ყველა დარგის წარმომადგენელი. ეს ერთხელ კიდევ დასტურებს, რაოდენ დიდია საბჭოთა ქალების როლი კომუნისტურ მშენებლობაში და რაოდენ ნაყოფიერია მათი მუშაობა.

ამხანაგებო! ჩვენი პარტიული ორგანიზაცია დაუცხრომლად ეწევა დიდ მუშაობას დიდ რუსი ხალხთან, ჩვენი თვალწუწდენი სამშობლოს ყველა ხალხთან ქართველი ხალხის მეგობრობის განმტკიცებისათვის. ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კომპარტიის ამ ყრილობას ესწრებიან ჩვენს რესპუბლიკაში მოსახლე თითქმის ყველა ეროვნების დელეგატები.

ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაში ქართველია 644, რუსი — 60, სომეხი — 32, აფხაზი — 25, ოსი — 17, უკრაინელი — 17, აზერბაიჯანელი — 7, ბელორუსი — 4, ბერძენი — 3, სხვა ეროვნებისა — 4 კაცი.

ხალხთა დიადი მეგობრობა ჩვენი შემდგომი მძლავრი წინსვლის უტყუარი საწინდარი იყო, არის და იქნება.

* * *

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატების შემადგენლობა და ცნობები მათ შესახებ ერთხელ კიდევ დასტურებს იმ უდავო ფაქტს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია თავის მორიგ ყრილობაზე მოვიდა განმტკიცებული, მონოლითური და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, რომ იგი მზად არის, ახალი პირობებისა და გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად, შეასრულოს ჩვენი დიადი პარტიის ყოველი დავალება.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომუნისტები, სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე საბრძოლო სულისკვეთებით აღზრდილნი, კვლავაც იქნებიან სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მშრომელი ხალხის ბელადს, ჩვენი სამშობლოს ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობის ზრდა, მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობის შეცვლა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება 1957 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I. მრეწველობა

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა, და სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებამ ხელი შეუწყო მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ აღმავლობას, ახალი შინარეზერვების გამოვლინებას საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სახალხო-სამეურნეო გეგმით სამრეწველო პროდუქციის ზრდა 1957 წელს გათვალისწინებული იყო 7,1 პროცენტით, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოებისა (ჯგუფი „ა“) — 7,8 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოებისა (ჯგუფი „ბ“) — 5,9 პროცენტით.

სახელმწიფო გეგმის ეს დავალება შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1957 წელს 1956 წელთან შედარებით გადიდდა 10 პროცენტით, აქედან ჯგუფი „ა“, წინასწარი მონაცემებით, 11 პროცენტით, ჯგუფი „ბ“ — 8 პროცენტით და მეტით.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა საერთო პროდუქციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის 1957 წლის სახელმწიფო გეგმა.

გეგმის შესრულება და მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი 1957 წელს.	1957 წელი პროცენტობით 1956 წელთან შედარებით.
რუსეთის სფსრ	104	110
უკრაინის სსრ	104	110
ბელორუსიის სსრ	106	114
უზბეკეთის სსრ	105	110
ყაზახეთის სსრ	103	111
საქართველოს სსრ	104	107
აზერბაიჯანის სსრ	102	107
ლიტვის სსრ	110	123
მოლდავეთის სსრ	113	117
ლატვიის სსრ	109	116
ყირგიზეთის სსრ	103	109
ტაჯიკეთის სსრ	105	110
სომხეთის სსრ	102	110
თურქმენეთის სსრ	104	108
ესტონეთის სსრ	108	113

სახალხო მეურნეობის საბჭოების მრეწველობამ საერთო პროდუქციის წლიური გეგმა 104 პროცენტით შეასრულა.

მრეწველობის მართვის რეორგანიზაციის შემდეგ საგეგმო დავალებანი უფრო მაღალ დონეზე სრულდებოდა, ვიდრე წინა წლის შესაბამის პერიოდში. მრეწველობის საერთო პროდუქციის წლის მეორე ნახევრის გეგმა 1956 წელს შესრულდა 102 პროცენტით, ხოლო 1957 წელს — 104-ზე მეტი პროცენტით. ამასთან სახალხო მეურნეობის საბჭოებისათვის დაქვემდებარებულ საწარმოთა პროდუქცია 1956 წლის მეორე ნახევართან შედარებით თითქმის 11 პროცენტით გადიდდა.

ისეთ სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც წარმოების გეგმას ვერ ასრულებენ, შემცირდა 1956 წლის მეორე ნახევართან შედარებით, როცა საწარმოები სამინისტროებსა და უწყებებს ექვემდებარებოდა.

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1957 წელს ყველა სახალხო მეურნეობის საბჭომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა.

მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით საერთო პროდუქცია შემდეგნაირად გადიდდა:

	სახელმწიფო გეგმა 1957 წლის საერთო პროდუქციის პროცენტობით 1956 წელთან შედარებით.
შავი მეტალურგია	107
ფერადი მეტალურგია	110
ქვანახშირის მრეწველობა	106
ნავთობმომპოვებელი მრეწველობა	118
ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა	117
ელექტროსადგურები	111
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	114
ქიმიური და რეზინის მრეწველობა	111
საშენ მასალათა მრეწველობა	123
სატყეო, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობა	109
მსუბუქი მრეწველობა	106
კვების მრეწველობა	110
აქედან:	
ხორცის მრეწველობა	118
ერბო-კარაქის, ყველის მრეწველობა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	117

გადაჭარბებით შესრულდა მძიმე მრეწველობის ბევრ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მოპოვებისა და წარმოების წლიური გეგმა, მათ შორის ქვანახშირის, ნავთობის, ფიქალების, ტორფის მოპოვების, რაფინირებული სპილენძის, ალუმინის, თუთიის, ტყვიის, მოლიბდენის პროდუქციის, მაგნიუმისა და მაგნიუმის შენადნობების, კალის, ვერცხლისწყლის, ტიტანის, ფოლადის მილების, კოქსის, बენზინის, ნავთის, დიზელის სათბობის, ავტოლების, დიზელისა და ტრანსფორმატორის ზეთების, სინთეზური ამონიაკის, სინთეზური კაუჩუკის, ავტოსაბურავების, გოგირდმჟავას, მინერალური სასუქების, კაუსტიკური და კალცინირებული სოდის, ქიმიური მოწყობილობის, ელექტროძრავების, ელექტროვაკუუმური ხელსაწყოების, სამჭედლო-საწნეხე მანქანების, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, ავტობუსების, ბურთულა და გორგოლაჭიანი საკისრების, ტრაქტორების, ტრაქტორის გუთნების, კულტივატორებისა და სათიბი მანქანების, მარცვლეულის კომბაინების, სიმინდის ასაღები კომბაინების, აგრეთვე ცემენტის, აზბესტის, შიფერის, კრისტალური გრაფიტის, დაწებებული ფანერის, ცელულოზის, მუყაოს და სხვა სახეობათა პროდუქციის წლიური გეგმა.

წლიური გეგმის გადამეტებით წარმოებულია შემდეგი ფართო მოხმარების საქონელი:

ბამბის, შალის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილები, ხელოვნური ბოჭკო, ტყავის ფეხსაცმელი, წინდები, საცვლისა და ზედა ტრიკოტაჟი, ქაღალდი, საათები, ფოტოაპარატები, პიანინოები და როიალები, ავეჯი, ხორცი, ძეხვეული, ერბო-კარაქი, მოუზდელი რძის პროდუქცია, მცენარეული ზეთი, მარგარინი, ჩაი, საპონი და სხვა საქონელი.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების 1957 წლის გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვან წარმატებებთან ერთად ცალკეულ დარგებში იყო არსებითი ნაკლოვანებანი.

შავი ლითონების ნაგლინის წარმოების გეგმის მთლიანად შესრულებისას შესრულებული არ არის ცალკეულ სახეობათა ნაგლინის წარმოების გეგმა. რამდენადმე შესრულებული არ არის თუჯისა და ფოლადის გამოდნობის დავალება, შესრულებული არ არის ზოგიერთი სახეობის მანქანებისა და მოწყობილობის, ფანჯრის მინის, აგურის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, კონსერვების წარმოების გეგმა, თუმცა ყველა ამ სახეობათა პროდუქციის დარგში იყო წარმოების ზრდა 1956 წელთან შედარებით.

მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას უზრუნველყოფილი არ ყოფილა ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში ზოგიერთი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოების დავალებათა შესრულება. კერძოდ, შესრულებული არ არის წარმოების გეგმები: რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში — რკინის მადნის, თუჯის, ფოლადის, მეტალურგიული მოწყობილობის, სამაგისტრალო ელმავლების, ფანჯრის მინის, კონსერვების, თევზის ჭერის; უკრაინის სსრ რესპუბლიკაში — შავი ლითონების, 100 კილოვატზე მეტი სიმძლავრის ელექტროძრავების, ორთქლის ტურბინების; ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში — ფანჯრის მინის, აგურის, სელის ქსოვილების; უზბეკეთის სსრ რესპუბლიკაში — მინერალური სასუქების, სართავი მანქანების, ცემენტის; ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში — რკინის მადნის, რაფინირებული სპილენძის, ცემენტის, კონსერვების; საქართველოს სსრ რესპუბლიკაში — მარგანეცის მადნის, შავი ლითონების, შალის ქსოვილების; აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკაში — ფოლადის მილების, სინთეზური კაუჩუკის, შიფერის; ლიტვის სსრ რესპუბლიკაში — აგურის; მოლდავეთის სსრ რესპუბლიკაში — შაქრის; ლატვიის სსრ რესპუბლიკაში — კონსერვების; ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკაში — შაქრის, ხორცის; ტაჯიკეთის სსრ რესპუბლიკაში — აგურის, მცენარეული ზეთის; სომხეთის სსრ რესპუბლიკაში — ცემენტის, ბამბისა და შალის ქსოვილების, ხორცის; თურქმენეთის სსრ რესპუბლიკაში — მცენარეული ზეთის; ესტონეთის სსრ რესპუბლიკაში — აგურის, ფანჯრის მინის, თევზის ჭერის.

მეტალურგიული, სატყეო მრეწველობისა და საშენი მასალების მრეწველობის ზოგიერთმა საწარმომ და შესაბამისმა გამსაღებელმა ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაწესებული გეგმებისა და დამატებითი დავალებების შესრულება, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელ რიგ საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობაზე.

სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება 1957 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებია 1957 წელს	1957 წელს პროცენტობით 1956 წელთან შედარებით
თუჯი — მილიონ ტონობით	37,0	104
ფოლადი — მილიონ ტონობით	51,0	105
ნაგლინი — მილიონ ტონობით	40,2	106
ფოლადის მილები — მილიონ ტონობით	4,2	109
კოქსი — მილიონ ტონობით	48,6	104
რკინის მადანი — მილიონ ტონობით	84,2	108
ქვანახშირი — მილიონ ტონობით	463	108
აქედან საკოქსე ქვანახშირი	88	106
ქვანახშირის ბრიკეტები — მილიონ ტონობით	4,1	130
ფიქალები — მილიონ ტონობით	12,4	107
ტორფი (კოლმეურნეობათა მიერ ამოღების გარდა) მილიონ ტონობით	54	123
ნავთობი — მილიონ ტონობით	98,3	117
გაზი — მილიარდ კუბურ მეტრობით	20,2	148
ელექტროენერგია— მილიარდ კილოვატსაათობით	209,5	109
აქედან ჰიდროელექტროენერგია	39,3	136
მინერალური სასუქები — მილიონ ტონობით	11,7	108
სოდა კალცინირებული — ათას ტონობით	1618	105
გოგირდმჟავა — მილიონ ტონობით	4,6	106
ავტომობილის საბურავები — მილიონ ცალობით	12,8	113
ეთილის სპირტი — მილიონ დეკალიტრობით	157	122
მეტალურგიული მოწყობილობა—ათას ტონობით	164	92
ქიმიური მოწყობილობა — მილიარდ მანეთობით	0,9	109
ნავთობის აპარატურა — ათას ტონობით	61	123
ორთქლისა და გაზის ტურბინები — მილიონ კილოვატობით	4,1	96
ჰიდრავლიკური ტურბინები — მილიონ კილოვატობით	1,3	83
ორთქლისა და გაზის ტურბინების გენერატორები — მილიონ კილოვატობით	4,1	107
ჰიდრავლიკური ტურბინების გენერატორები— მილიონ კილოვატობით	1,5	107
დიდი ელექტრომანქანები — ათას ცალობით	4,8	115
ელექტროძრავები — მილიონ ცალობით	2,0	116
ელექტროვაკუუმური ხელსაწყოები — მილიონ ცალობით	98	109
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათას ცალობით	130	105
სამჭედლო-საწნეხე მანქანები—ათას ცალობით	24	112
ავტომობილები — ათას ცალობით	495,5	107
აქედან:		
სატვირთო ავტომობილები	371,6	104
მსუბუქი ავტომობილები	113,6	116
ავტობუსები	10,3	112
ბურთულა და გორგოლაჭსაკისარები — მილიონ ცალობით	296	113
ტრაქტორები — ათას ცალობით (ფიზიკური ერთეულები)	204	111
აქედან სათოხნი	104	114
ტრაქტორის გუთნები — ათას ცალობით	128	103
ტრაქტორის სათესი მანქანები—ათას ცალობით	278	139
ტრაქტორის კულტივატორები—ათას ცალობით	208	139
ტრაქტორის სათიბი მანქანები—ათას ცალობით	46,3	171
მარცვლეულის კომბაინები — ათას ცალობით	131	160
ჰარხლის ასაღები კომბაინები — ათას ცალობით	8,6	107
სიმინდის ასაღები კომბაინები—ათას ცალობით	31,4	221
სასილოსე კულტურების ასაღები კომბაინები — ათას ცალობით	54,2	169
მარცვალსაწმენდი მანქანები — ათას ცალობით	10	100
სამაგისტრალო თბომავლები — ცალობით	400	248
სამაგისტრალო ელმავლები — ცალობით	270	125
სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები — ათას ცალობით	38,3	95
სამაგისტრალო სამგზავრო ვაგონები—ცალობით	1856	103
ტროლეიბუსები — ცალობით	451	119
ექსკავატორები — ათას ცალობით	9,5	141
ავტოგრეიდერები — ცალობით	2064	125
სართავი მანქანები — ცალობით	1880	113
საქსოვი დაზგები — ათას ცალობით	14,4	104
სამასალე მერქნის გამოზიდვა (კოლმეურნეობათა მიერ გამოზიდულის გარდა) — მილიონ კუბურ მეტრობით	216	105
ცემენტი — მილიონ ტონობით	28,9	116
შიფერი — მილიონობით პირობითი ფილა	2154	119
ფანჯრის მინა—მილიონ კვადრატულ მეტრობით	121	108
რბილი სახურავი — მილიონ კვადრატულ მეტრობით	576	107
აგური (კოლმეურნეობათა მიერ წარმოებულის გარდა) — მილიარდ ცალობით	24	112
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — მილიონ კუბურ მეტრობით ნაწარმი	13	152
სტანდარტული სახლები და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან აგებულ კედლებიანი სტანდარტული და ტიპური სახლების დეტალების კომპლექტები — მილიონ კვადრატულ მეტრობით საცხოვრებელი ფართობი	7,3	111
ბამბის ქსოვილები — მილიარდ მეტრობით	5,6	103
შალის ქსოვილები — მილიონ მეტრობით	282	105
სელის ქსოვილები — მილიონ მეტრობით	425	111
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონ მეტრობით	805	107
ხელოვნური ბოჭკო — ათას ტონობით	149	115
წინდები — მილიონობით წყვილი	845	105
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონ ცალობით	372	107
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონ ცალობით	90	105
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონობით წყვილი	315	110
მოთელილი ფეხსაცმელი—მილიონობით წყვილი	26	108
ყველა სახეობის საათები — მილიონ ცალობით	23,5	104
ფოტოაპარატები — ათას ცალობით	1322	111
რადიომიმღებები — მილიონ ცალობით	3,6	94
ტელევიზორები — მილიონ ცალობით	0,7	119
საოჯახო მაცივრები — ათას ცალობით	309	138
საოჯახო სარეცხი მანქანები — ათას ცალობით	377	193
საოჯახო მტვერსასრუტავები — ათას ცალობით	262	150
საოჯახო საკერავი მანქანები — მილიონ ცალობით	2,3	118
მოტოციკლები — ათას ცალობით	334	112
ველოსიპედები — მილიონ ცალობით	3,3	106
პიანინოები და როიალები — ათას ცალობით	55,3	127
ქაღალდი — ათას ტონობით	2126	107
ავეჯი (ლითონის საწოლების გარდა) — მილიარდ მანეთობით	6,3	114
ლითონის საწოლები — მილიონ ცალობით	11,3	108
ხორცი (კოლმეურნეობათა წარმოებისა და მოსახლეობის შინ წარმოების გარდა) — მილიონ ტონობით	3,1	115
ძეხვეული — მილიონ ტონობით	0,9	113
თევზი — მილიონ ტონობით	2,8	97
ერბო-კარაქი (კოლმეურნეობათა წარმოებისა და მოსახლეობის შინ წარმოების გარდა) — ათას ტონობით	621	114
ერბო-კარაქი, ყველი და რძის სხვა პროდუქტები რძეზე გადაანგარიშებით (კოლმეურნეობათა წარმოებისა და მოსახლეობის შინ წარმოების გარდა) — მილიონ ტონობით	20,5	118
ფხვნილი შაქარი — ათას ტონობით	4491	103
მაკარონის ნაწარმი — ათას ტონობით	957	111
მცენარეული ზეთი (კოლმეურნეობათა წარმოებისა და მოსახლეობის შინ წარმოების გარდა) — ათას ტონობით	1659	110
მარგარინი — ათას ტონობით	449	103
კონსერვები — მილიონობით პირობითი ქილა	3775	105
ყურძნის ღვინო (კოლმეურნეობათა წარმოების გარდა) — მილიონობით დეკალიტრი	42	103
შამპანური — მილიონობით ბოთლი	31	112
ჩაი — ათას ტონობით	54,5	108
საპონი — მილიონ ტონობით	1,3	105
პაპიროსი — მილიარდ ცალობით	215	106

1957 წელს გადიდდა აგრეთვე სხვა სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება, კერძოდ ფერადი ლითონების — სპილენძის, ალუმინის, ტყვიის, თუთიის, მოლიბდენის პროდუქციის, მაგნიუმის, კალის, ტიტანის წარმოება, გამჭვირვალე ნავთობპროდუქტებისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოება.

მრეწველობის მთელ რიგ დარგებში გაუმჯობესდა მოწყობილობისა და ნედლეულის გამოყენება, გაუმჯობესდა საწარმოთა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

შავი მეტალურგიის საწარმოებში ფოლადის მიღება მარტენის ღუმელების ერთ კვადრატულ მეტრ ქვედზე გადიდდა 1956 წელთან შედარებით 3 პროცენტით, რამაც შესაძლებელი გახადა ფოლადის გამოდნობა მოქმედი მოწყობილობით გადიდებულიყო ერთი მილიონი ტონით და მეტით. ამავე დროს, თუმცა თუჯის გამოდნობა გადიდდა, ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი რამდენადმე გაუარესდა და შეადგენდა 0,79-ს 1956 წლის 0.78-თან შედარებით.

ნავთობის მრეწველობაში მნიშვნელოვნად გადიდდა ბურღვის სამუშაოთა მოცულობა და საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვის სიჩქარე. ქვანახშირის მრეწველობაში 1957 წელს გადიდდა სანგრევების მოქმედი ასაწყენდი ხაზის საშუალო თვიური წინსვლა, მაგრამ გეგმიანი დავალება რამდენადმე არ შესრულებულა. გაუმჯობესდა სათბობის გამოყენება რაიონულ ელექტროსადგურებში.

მანქანათმშენებლობაში წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, ლითონის ნარჩენის შემცირების, ნაგლინის ეკონომიურ სახეობათა გამოყენების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მიღწეულ იქნა შავი ლითონების ნაგლინის ხარჯის შემცირება დაწესებულ ნორმატივებთან შედარებით. მაგრამ ცალკეულმა მანქანათსაშენმა საწარმოებმა 1957 წელს დაუშვეს ნაგლინის გადახარჯვა დაწესებულ ნორმებთან შედარებით.

გადიდდა ცემენტის ღუმელების საათობრივი წარმადობა 1956 წელთან შედარებით. მაგრამ მთელმა რიგმა ქარხნებმა ვერ შეასრულეს დაწესებული გეგმა. გაუმჯობესდა სართავი და საქსოვი მოწყობილობის გამოყენება საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში.

ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებმა დაიწყეს წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კოოპერირების ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის გამოშვების გადიდებას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და თვითღირებულების შემცირებას. მაგრამ ამ მიმართულებით არსებული შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სულაც არ არის გამოყენებული.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა 1957 წელს, წინასწარი მონაცემებით, შესრულდა მთლიანად მრეწველობასა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, გარდა ყირგიზეთის სს რესპუბლიკისა. მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ზეგეგმითმა ეკონომიამ 1957 წელს შეადგინა დაახლოებით 4 მილიარდი მანეთი. მაგრამ, მრეწველობაში მთლიანად თვითღირებულების დავალების შესრულებასთან ერთად, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი შესრულებული არ არის შავ მეტალურგიაში, ქვანახშირის მრეწველობაში, საშენ მასალათა მრეწველობასა და შაქრის მრეწველობაში. წუნით გამოწვეული დანაკარგი და უნაყოფო ხარჯები მრეწველობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია.

1957 წელს გაფართოვდა მრეწველობის მინერალურ-ნედლეული ბაზა. ალმოჩენილია შავი, ფერადი და იშვიათი ლითონების მადნები, გაბნეული ელემენტების, ოქროს, ალმასის, სათბობ-ენერგეტიკული და სამთო-ქიმიური ნედლეულის, საშენ მასალათა მთელი რიგი ახალი საბადოები და გადიდებულია სასარგებლო წიაღისეულის საბადოების მიკვლეული მარაგი მოქმედი და მშენებლობის პროცესში მყოფი საწარმოების უზრუნველყოფისათვის. ამასთან ერთად შესრულებული არ არის ბატიტებისა და მინერალური ნედლეულის სხვა სახეობათა ზოგიერთი საბადოს მიკვლეული მარაგის მატების გეგმა.

II. ახალი ტექნიკის დანერგვა

გასული 1957 წელი აღინიშნა დიდი მიღწევებით მრეწველობის ყველა დარგში წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებით ელექტროფიკაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი განვითარების, უახლესი დიდი წარმადობის მოწყობილობისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, მოწყობილობის ფართოდ შეცვლისა და მოდერნიზაციის საფუძველზე.

საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის საგანძურში. გაშვებულია მსოფლიოში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრები. შექმნილია მსოფლიოში პირველი საბჭოთა მძლავრი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა. აგებულია ატომის ნაწილაკების მსოფლიოში ყველაზე მძლავრი დამჩქარებელი — სინქროფაზოტრონი. ათვისებულია ზეჩქარი რეაქტიული და ტურბინ-ხრახნიანი სამგზავრო თვითმფრინავების წარმოება. ხორციელდება ატომის ენერგიით მომუშავე თვითეული 200-400 სიმძლავრის ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა.

მანქანათსაშენმა საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და დამპროექტებელ-საკონსტრუქციო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და დაამზადეს 1.500-ზე მეტი ახალი უმნიშვნელოვანესი ტიპის მანქანები, მექანიზმები, აპარატები და სხვა მოწყობილობა. გრძელდებოდა ჩამოსხმის, დაშტამპვის, შედუღების, ჭრის, შეღებვის, ლითონების თერმული და მექანიკური დამუშავების ახალი პროგრესული ხერხების, პროდუქციის ხარისხისა და ოდენობის კონტროლის ახალი დიდი წარმადობის ავტომატური, ნაკადური და კონვეიერული ხაზების, ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხებისა და მანქანების ათვისება და დანერგვა. ხორციელდებოდა საწარმოო მოწყობილობის მოდერნიზაცია.

სამრეწველო საწარმოებმა აითვისეს 350-ზე მეტი სახელწოდების ახალ სახეობათა მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების სერიული წარმოება.

მაგრამ გასულ წელს მთელმა რიგმა სამრეწველო საწარმოებმა და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა მთლიანად ვერ შეასრულეს ახალ სახეობათა მრეწველობის პროდუქციის ათვისების, სახალხო მეურნეობისათვის ახალი დიდი წარმადობის მანქანებისა და მოწყობილობის შემუშავების გეგმა.

შავ მეტალურგიაში 1956 წელთან შედარებით გადიდდა მარტენისა და კონვერტერული ფოლადის წარმოების ათვისება ანგბადის გამოყენებით. გრძელდებოდა ვაკუუმისათვის თხევადი ფოლადის დამუშავების ტექნოლოგიის სამრეწველო ათვისება, რაც აუმჯობესებს ფოლადის ფიზიკურ და მექანიკურ თვისებებს. ათვისებულია ახალ სახეობათა შენადნობებისა და ფოლადის მარკების წარმოება ახალი ტექნიკის საჭიროებისათვის. ამასთან ერთად შავი მეტალურგიის საწარმოებში ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ახალი ეფექტიანი ხერხის დანერგვა დამაკმაყოფილებლად არ ხორციელდება. შესრულებული არ არის მეტალურგიული პროცესების კომპლექსური ავტომატიზაციის გეგმა.

ფერადი მეტალურგიის საწარმოებში ხორციელდებოდა შემდგომი სამუშაოები, რომელთა მიზანია მადნიდან ლითონების ამოღების პროცესების ინტენსიფიკაცია და გაუმჯობესება. ამავე დროს ფერადი მეტალურგიის საწარმოებში ნელა ინერგება ნედლეულის კომპლექსური გამოყენების გაუმჯობესებისა და ფერადი ლითონების დანაკარგის შემცირების ღონისძიებანი.

ქვანახშირის შახტებში ხორციელდებოდა შრომატევად და მძიმე სამუშაოთა შემდგომი მექანიზაცია. მიწისქვეშა მანქანებისა და მექანიზმების გადაყვანა ავტომატურ და დისტანციურ მართვაზე. ქვანახშირის ამოღების ღია სამუშაოებზე გრძელდებოდა გადასახსნილ სამუშაოთა უტრანსპორტო სისტემის დანერგვა მძლავრი ექსკავატორების გა-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

საკავშირო ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(გაგრძელება)

მოყენებით, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება გადასახსნელ სამუშაოთა თვითღირებულება და შრომატევადობა. მაგრამ დავალება ქვანახშირის ამოღების კომპლექსური მექანიზაციის დარგში მთლიანად არ არის შესრულებული.

ნავთობის მრეწველობაში ფართოდ ინერგებოდა ნავთობის საბადოების დამუშავების პროგრესული მეთოდები. გარეკონტურული და შიგაკონტურული წყლით ავსება ფენის წნევის დასაცავად, ქანის გახსნის უფრო გაუმჯობესებული მეთოდები. ჭაბურღილების ტურბინული ბურღვისათვის შექმნილია ინერგება ტურბინბურღვის ახალი კონსტრუქციები, ახალი ტიპის სატეხები მაგარ ქანებში ჭაბურღილების საბურღავად. ამასთან ერთად ნავთობის მრეწველობაში ჯერ კიდევ არის ნავთობისა და ნავთობის თანამგზავი გაზის დიდი დანაკარგი. მთელმა რიგმა ნავთობსარეწებმა ვერ შეასრულეს კომკურებისა და სამონტაჟო სამუშაოთა მექანიზაციის გეგმა.

ქიმიის მრეწველობაში დამზადებულია ახალ სახეობათა პლასტიკური მასების, სინთეზური საღებავებისა და კაუჩუკების ნიმუშები და საცდელი პარტიები, რომლებსაც აქვთ გადიდებული ფიზიკურ-ქიმიური თვისებანი. ათვისებულია ახალ სახეობათა შხამ-ქიმიკატების სამრეწველო წარმოება. გრძელდებოდა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის შემდგომი სამუშაოები გოგირდმჟავას, ამიაკური გვარჯილის, სინთეზური კაუჩუკისა და ეთილის სითხის წარმოებაში. ამავე დროს ქიმიური მრეწველობის საწარმოებმა ვერ შეასრულეს ზოგიერთი სინთეზური პროდუქტის მიღების გეგმა.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურში დაიდგა მსოფლიოში ყველაზე დიდი სამამულო წარმოების საბრუნავფრთებიანი ტურბინები მარგი მოქმედების მაღალი კოეფიციენტით; ამ ელექტროსადგურის ყველა აგრეგატის მართვა სავსებით ავტომატიზებულია. გრძელდებოდა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნის სამუშაოები: ხორციელდებოდა კუიბიშევის ჰეს-ურალის და სტალინგრადის ჰეს-მოსკოვის ელექტროგადაცემის ხაზების მშენებლობა. გაფართოებულია ტელემექანიზაციის საშუალებათა გამოყენება ჰიდროელექტროსადგურების, ენერგეტიკული სისტემებისა და ელექტროქვესადგურების მუშაობის მართვისათვის, აგრეთვე გრძელდებოდა საწარმოო პროცესების მართვის ავტომატიზაციისა და თბოელექტროსადგურებში ორთქლის პარამეტრების შემდგომი გადიდების სამუშაოები.

ნსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში ინერგებოდა დიდი წარმადობის მანქანები, ავტომატური ხაზები, ავტომატები, ახალი კონსტრუქციების ჩარხები და აგრეგატები.

მაგრამ მსუბუქი და კვების მრეწველობის ზოგიერთმა საწარმომ ვერ შეასრულა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მთელი რიგი დავალებანი.

1957 წელს მილიონზე მეტმა გამომგონებელმა და რაციონალიზატორმა შეიტანა ორ მილიონზე მეტი წინადადება, სახალხო მეურნეობაში დანერგილია დაახლოებით მილიონნახევარი გამოგონება, ტექნიკური გაუმჯობესება და რაციონალიზატორული წინადადება. გასულ წელს წინადადებათა დანერგვით მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა წელიწადზე გაანგარიშებით დაახლოებით 7 მილიარდი მანეთი.

III. სოფლის მეურნეობა

კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები კვლავ ახორციელებდნენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ.

1957 წელს, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, მარცვლეული კულტურების მთლიანი მოსავალი (საბელლე მოსავალი) 1953 წელთან შედარებით გადიდდა 26 პროცენტით, მათ შორის ხორბლისა — 40 პროცენტით და სამარცვლე სიმინდისა — თითქმის 2-ჯერ.

გასულ წელს შაქრის ჭარხალი მიღებულია 70 პროცენტით მეტი, ვიდრე 1953 წელს და ბევრად მეტი ამ კულტურის ყოველწლიურ საერთო მოსავალზე ყველა წინა წელიწადში. 1953 წელთან შედარებით გადიდდა აგრეთვე საბოჭკოე სელის ბოჭკოს საერთო მოსავალი 2,8-ჯერ, ნედლი ბამბისა — 13 პროცენტით, კარტოფილისა — 20 პროცენტით, ბოსტნეულისა — 27 პროცენტით და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა.

მთელ რიგ რაიონებში, და განსაკუთრებით ვოლგისპირეთში, ურალსა და ყაზახეთის სსრ ზოგიერთ ოლქში გვალვასთან დაკავშირებით, მარცვლეულის საერთო მოსავალი (საბელლე მოსავალი) ჩვენს ქვეყანაში მთლიანად მიღებულია ნაკლები, ვიდრე 1956 წელს, რომელიც იყო მარცვლეულის ყველაზე მეტი საერთო მოსავლისა და დამზადების წელი.

მიუხედავად ამისა, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისა და უკრაინის სს რესპუბლიკაში, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის მთელ რიგ ოლქებსა და მხარეებში, ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში, ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ და სხვა რაიონებში მარცვლეული კულტურების კარგი მოსავლის მეოხებით სახელმწიფოს თავის განკარგულებაში საჭირო რაოდენობით აქვს მარცვლეული.

პროდუქტიული პირუტყვის რიცხვი ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1958 წლის 1 იანვრისთვის 1954 წლის 1 იანვართან შედარებით გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 10,9 მილიონი სულით, მათ შორის ძროხისა — 6,2 მილიონი სულით, ღორის სულადობა გადიდდა 11 მილიონი სულით, ცხვრისა — 20,3 მილიონი სულით.

1957 წლის 1 იანვართან შედარებით პროდუქტიული პირუტყვის სულადობა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 5,3 მილიონი სულით, მათ შორის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 4,7 მილიონით, ძროხისა — 2,4 მილიონი სულით, მათ შორის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 1 მილიონით, ღორის სულადობა გადიდდა 3,5 მილიონი სულით, მათ შორის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 5,9 მილიონით, და ცხვრისა — 12 მილიონი სულით, მათ შორის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 9,4 მილიონით.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდასთან ერთად გადიდდა მათი პროდუქტიულობა.

1957 წელს გადიდდა ხორცის, განსაკუთრებით ღორის ხორცის წარმოება. ხორცის წარმოება 1957 წელს 1956 წელთან შედარებით ყველაზე მეტად გადიდდა უკრაინის სს რესპუბლიკაში, მოლდავეთის სს რესპუბლიკასა და ლიტვის სს რესპუბლიკაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმმა დასახა ამოცანა, რომ 1960 წელს წველადობა კოლმეურნეობებში გადიდდეს სულ ცოტა 1.700 კილოგრამამდე საშუალოდ ერთ ძროხაზე. გასულ 3 წელიწადში (1955-1957 წლები) საშუალოდ წველადობა კოლმეურნეობებში გადიდდა 786 კილოგრამით და 1957 წელს შეადგინა 1.858 კილოგრამი. ამრიგად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მოცემული დავალება შესრულებულია გადაჭარბებით 1957 წელს, ესე იგი ვადამდე — ექვსი წლის ნაცვლად სამ წელიწადში.

ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც 1957 წლის დამდეგისათვის მოქმედებდნენ, შეადგენდა დაახლოებით 2.700 კილოგრამს, მაშინ როცა 1960 წლის დავალება ითვალისწინებს 3.100 კილოგრამს.

ჩვენს ქვეყანაში რძის წარმოება 1954 წლის 38,2 მილიონი ტონიდან გადიდდა 49,1 მილიონ ტონამდე 1956 წელს და 54,7 მილიონ ტონამდე 1957 წელს, ესე იგი 1954 წელთან შედარებით გადიდდა 43 პროცენტით. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რძის წარმოება 1957 წელს გადიდდა 1956 წელთან შედარებით 20 პროცენტით, ხოლო 1954 წელთან შედარებით — თითქმის ერთიორად.

100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე რძის წარმოებაში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს შემდეგმა რესპუბლიკებმა, მხარეებმა და ოლქებმა:

	100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წარმოებულია რძე ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1957 წელს — ცენტნერობით
ლატვიის სსრ	444
ესტონეთის სსრ	373
ლიტვის სსრ	319
უკრაინის სსრ	300
ბელორუსიის სსრ	261
მოლდავეთის სსრ	193
მოსკოვის ოლქი	325
ლენინგრადის ოლქი	442
კალინინგრადის ოლქი	395
კარელიის ასსრ	373
ვლადიმირის ოლქი	299
ივანოვოს ოლქი	290
კალუგის ოლქი	282
ბელგოროდის ოლქი	275
გორკის ოლქი	267
კომის ასსრ	261
რიაზანის ოლქი	256
იაროსლავლის ოლქი	250
კრასნოდარის მხარე	250
კურსკის ოლქი	249
სვერდლოვსკის ოლქი	248
ტულის ოლქი	241
ვორონეჟის ოლქი	208
სმოლენსკის ოლქი	205

ამჟამად რძის წარმოებამ ჩვენს ქვეყანაში მიაღწია ამერიკის შეერთებული შტატების რძის წარმოების დაახლოებით 95 პროცენტს. საქარხნო წარმოების კარაქის პროდუქციის მოცულობა დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო კარაქის საერთო წარმოების მხრივ, ესე იგი შინაური წარმოების ჩათვლით, სსრ კავშირმა გასულ წელს უკვე რამდენადმე გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, გაადიდეს რა გასულ წელს ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა, ამით უზრუნველყვეს ხორცის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდის საჭირო პირობები, რათა გადაიკრას დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

1957 წელს ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, რძის, მატყლის, კრაველისა და სხვა პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმა.

ხორცის სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა (ცოცხალი პირუტყვის წონით) 1956 წელთან შედარებით გადიდდა 550 ათასი ტონით, ანუ 12 პროცენტით. წარმატებით შესრულეს დამზადებისა და შესყიდვის გეგმა და სახელმწიფოს პირუტყვი ჩაბარეს 1957 წელს გაცილებით მეტი, ვიდრე 1956 წელს, უკრაინის სს რესპუბლიკამ, ლიტვის სს რესპუბლიკამ, მოლდავეთის სს რესპუბლიკამ. ვადაზე ადრე შესრულდა ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა რუსეთის სფს რესპუბლიკაში; 1957 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 238 ტონით მეტი ხორცი, ვიდრე 1956 წელს.

რძის დამზადება და შესყიდვა 1957 წელს 1956 წელთან შედარებით გადიდდა 3,2 მილიონი ტონით, ანუ 18 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული იყო რძისა და რძის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის მოცულობის გადიდება 1960 წელს 1954 წელთან შედარებით სულ ცოტა 1,8-ჯერ. რძისა და რძის პროდუქტების სახელმწიფო დამზადება გადიდდა 1954 წლის 11,3 მილიონი ტონიდან 17,3 მილიონ ტონამდე 1956 წელს და 20,5 მილიონ ტონამდე 1957 წელს, რაც 1,8-ჯერ მეტია, ვიდრე 1954 წელს, ამრიგად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მოცემული დავალება შესრულებულია ვადამდე, არა 6 წელიწადში, არამედ 3 წელიწადში.

1957 წელს დამზადებული და შესყიდულია მეტი, ვიდრე 1956 წელს. კვერცხი ერთი მილიარდი ცალით, ანუ 30 პროცენტით და მატყლი 34,4 ათასი ტონით, ანუ 14 პროცენტით.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განაგრძნობდნენ მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებასა და გაფართოებას. მეტი, ვიდრე 1956 წელს. დამზადდა კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვები. წვნიანი საკვების დამზადებაში დიდი როლი შეასრულა სიმინდმა. გასულ წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩადეს დაახლოებით 90 მილიონი ტონა სილოსი, აქედან სიმინდის სილოსი — 52 მილიონი ტონა. გასულ წლებზე უკეთ მოეწყო ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის ბაგაზე და საძოვარზე გასუქება. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი კოლმეურნეობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური და საბჭოთა მეურნეობა არ იღებს ყველა საჭირო ღონისძიებას მეცხოველეობის საკვები ბაზის სერიოზული განმტკიცებისათვის, ნამატის გამოსავლის გადიდებისა და პირუტყვის სიკვდილიანობის შემცირებისათვის, სახორცე დასაკლავი პირუტყვის სიმსუქნისა და წონის მომატებისათვის, ჯერ კიდევ საკმაოდ არ ხდება მოზარდეულის გაზრდა, მსხვილფეხა და რქიანი პირუტყვის საძოვარზე და ბაგაზე გასუქება და ღორების გასუქება.

მოყვანილია ბოსტნეულისა და ხილის კარგი მოსავალი. ბოსტნეულის სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა 1956 წელთან შედარებით გაიზარდა 9 პროცენტით, ხილისა — 34 პროცენტით. ბოსტნეულისა და ხილის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობაში დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. გასულ წელს მოეწყო 849 ახალი საბჭოთა მეურნეობა და 1957 წლის დამლევისათვის ჩვენს ქვეყანაში იყო 5.800-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა. საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრად გაიზარდა. საბჭოთა მეურნეობებში თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის მთელი ნათესი ფართობის მეოთხედზე მეტი და მარცვლეული კულტურების მთელი ნათესების თითქმის 30 პროცენტი. გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობა აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო დამზადებაში; სახელმწიფოს მიერ დამზადებული და შესყიდული მთელი ხორცის 21 პროცენტი, ღორის ხორცის 32 პროცენტი, რძის 21 პროცენტი, მატყლის 27 პროცენტი და სახელმწიფოს მიერ მთელი დამზადებული და შესყიდული კვერცხის 21 პროცენტი გასულ წელს საბჭოთა მეურნეობებმა ჩააბარეს.

1957 წელს გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება. სოფლის მეურნეობამ მიიღო 257 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანილი), 126 ათასი სატვირთო ავტომობილი, 131 ათასი მარცვლეულის კომბაინი. 184 ათასი მარცვლეულის კომბაინის ამკრეფი მარცვლეული კულტურების მოსავლის ცალ-ცალკე ასაღებად, 96 ათასი ლაფეტი, 132 ათასი ხეადერი, 32 ათასი კომბაინი სიმინდის ასაღებად, 54 ათასი კომბაინი სასილოსე კულტურების ასაღებად, 8,7 ათასი კომბაინი შაქრის ჭარხლის ასაღებად, 129 ათასი ტრაქტორის გუთანი, მათ შორის 57 ათასი საკიდი, 276 ათასი ტრაქტორის სათესი მანქანა, მათ შორის 21 ათასი საკიდი, 8,5 ათასი კარტოფილსარგავი კვადრატულ-ბუდობრივი რგვისათვის, 208 ათასი ტრაქტორის კულტივატორი, მათ შორის 102 ათასი საკიდი, 47 ათასი ტრაქტორის სათიბი მანქანა, მათ შორის დაახლოებით 19 ათასი საკიდი, დაახლოებით 13 ათასი მარცვალსახმობი, 10 ათასი მარცვალსაწმენდი მანქანა და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და მოწყობილობა.

სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების მიწოდება გადიდდა 1956 წელთან შედარებით 11 პროცენტით, ხოლო 1953 წელთან შედარებით — 60 პროცენტით.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა შეასრულეს მთლიანად სსრ კავშირში სატრაქტორო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების ზრდის შედეგად კიდევ უფრო ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. მარცვლეული კულტურების, ბამბის, შაქრის ჭარხლისა და ზოგიერთი სხვა ტექნიკური კულტურის ხვნა, თესვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებულია თითქმის მთლიანად, მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება (უსიმინდოდ) მექანიზებულია 93 პროცენტით. 1957 წელს უფრო ფართოდ იქნა გამოყენებული მარცვლეული კულტურების მოსავლის ცალ-ცალკე აღების ხერხი, რამაც ხელი შეუწყო მარცვლეულის დანაკარგის შემცირებას მოსავლის აღებისას.

ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არ არის მექანიზებული სიმინდის, ბამბისა და შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების, სელისა და კანაფის თესვისა და მოსავლის აღების, კარტოფილისა და ბოსტნეულის რგვისა და მოსავლის აღების, თიბვის, ბალახების აღებისა და საკვების დასილოსების სამუშაოები, აგრეთვე შრომატევადი სამუშაოები მეცხოველეობაში.

კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მთლიანად ვერ გამოიყენეს არსებული შესაძლებლობანი მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის, წარმოების ხარჯების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა კვლავ მცირეა, დიდია შრომისა და სახსრების ხარჯვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე.

ბევრი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის საწარმოო საქმიანობის დიდი ნაკლია მანქანა-ტრაქტორთა პარკის ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი გამოყენება და სამუშაოთა მნიშვნელოვანი რაოდენობის დაგვიანებით შესრულება კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით დადგენილ ვადებთან შედარებით.

IV. ტრანსპორტი

ტვირთზიდვისა და ტვირთბრუნვის წლიური გეგმა რკინიგზის ტრანსპორტმა ვადამდე შეასრულა. ყველა ტვირთის გადაზიდვის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით. 1956 წელთან შედარებით რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთზიდვა გაიზარდა 12 პროცენტით და შეადგინა 1.209 მილიარდი ტონა-კილომეტრი.

ელექტროფიცირებული რკინიგზის ხაზებისა და თბომავლის წევით მომსახურე ხაზების სიგრძემ გასული წლის დამლევისათვის 16 ათას კილომეტრზე მეტი შეადგინა. რკინიგზების მოძრავ შემადგენლობას შეემატა ახალი ელექტრომავლები, თბომავლები და დიდტვირთიანი ვაგონები. ელექტრომავლებითა და თბომავლებით ტვირთზიდვა გაიზარდა 1956 წელთან შედარებით დაახლოებით 33 პროცენტით. ელექტრომავლებითა და თბომავლებით ტვირთზიდვის წილი რკინიგზების საერთო ტვირთბრუნვაში 1956 წლის 17 პროცენტიდან გაიზარდა 20 პროცენტამდე 1957 წელს.

ელექტრომავლის საშუალო სადღეღამისო გარბენა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით, თბომავლისა — 10 პროცენტით; შემცირდა სათბობის ხარჯი ტონა-კილომეტრზე. სატვირთო ვაგონის ბრუნვის დაჩქარების დავალება მთლიანად ქსელში შესრულებულია. თუმცა ვაგონების მოცდენა სატვირთო ოპერაციებისათვის შემცირდა 1956 წელთან შედარებით, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანი რჩება.

საზღვაო ტრანსპორტმა ვადამდე შეასრულა ტვირთზიდვისა და ტვირთბრუნვის წლიური გეგმა. 1956 წელთან შედარებით ტვირთზიდვა გაიზარდა 13 პროცენტით, ხოლო ტვირთბრუნვა — 12 პროცენტით. მმრალტვირთიანი და ნავთობჩასასხმელი ფლოტის წარმადობის წლიური დავალება გადაჭარბებით შესრულდა. ამასთან ერთად საზღვაო გემების არაპაწარმოო მოცდენა თუმცა შემცირდა, მაგრამ კვლავ მნიშვნელოვანია.

სამდინარო ტრანსპორტმა შეასრულა ტვირთბრუნვისა და ტვირთზიდვის წლიური გეგმა. სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 1957 წელს შეადგინა 76 მილიარდი ტონა-კილომეტრი და 8 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე წინა წელს.

მაგისტრალური ნავთობსადენი ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1956 წელთან შედარებით გაიზარდა 29 პროცენტით და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაქაჩვა — 24 პროცენტით.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა ტვირთბრუნვისა და ტვირთზიდვის წლიური გეგმა. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1956 წელთან შედარებით გაიზარდა 24 პროცენტით და ტვირთზიდვა — 28 პროცენტით. მაგრამ სატვირთო ავტომობილების მოცდენა და ცარიელი გარბენა ჯერ კიდევ დიდია. მგზავრების გადაყვანის გეგმა შესრულდა; მგზავრების გადაყვანა 1956 წელთან შედარებით გაიზარდა 25 პროცენტით.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თვითმფრინავთა პარკს 1957 წელს შეემატა რეაქტიული მრავალადგილიანი კომფორტული თვითმფრინავები, რომლებიც რეგულარულად დაფრინავენ სამინაო და საერთაშორისო საჰაერო ხაზებზე. **საჰაერო ტრანსპორტით ტვირთზიდვის საერთო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.** მგზავრების გადაყვანა და ტვირთზიდვა 1956 წელთან შედარებით გაიზარდა 26 პროცენტით.

V. კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების (კოლმეურნეობებს გარდა) კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1957 წელს შეადგენდა 210 მილიარდ მანეთს და 1956 წლის კაპიტალურ დაბანდებებს გადააჭარბა 23 მილიარდი მანეთით, ანუ 12 პროცენტით. 1957 წლისათვის დაწესებული კაპიტალურ დაბანდებათა სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 98 პროცენტით. ამასთან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 100,3 პროცენტით, ხოლო ხარჯი მოწყობილობის შესაძენად შეადგენდა გეგმის 94 პროცენტს.

მშენებლობის მართვის რეორგანიზაციამ უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში კაპიტალური მშენებლობის საქმის შემდგომი გაუმჯობესება.

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა 1957 წლის მეორე ნახევარში შესრულდა 104 პროცენტით, მაშინ როცა პირველ ნახევარში გეგმა შესრულებული იყო 91 პროცენტით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1957 წელს პროცენტობით 1956 წელთან შედარებით
რუსეთის სფსრ	112
უკრაინის სსრ	118
ბელორუსიის სსრ	128
უზბეკეთის სსრ	120
ყაზახეთის სსრ	111
საქართველოს სსრ	102
აზერბაიჯანის სსრ	112
ლიტვის სსრ	123
მოლდავეთის სსრ	118
ლატვიის სსრ	112
ყირგიზეთის სსრ	136
ტაჯიკეთის სსრ	118
სომხეთის სსრ	113
თურქმენეთის სსრ	122
ესტონეთის სსრ	110

მნიშვნელოვანი ოდენობით გადიდდა დაბანდებანი მძიმე მრეწველობაში. კაპიტალური დაბანდებები მეტალურგიულ მრეწველობაში 1956 წელთან შედარებით გადიდდა 9 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში 21 პროცენტით, ნავთობის მრეწველობაში 10 პროცენტით, გაზის მრეწველობაში — 35 პროცენტით, მანქანათმშენებლობაში — 5 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობაში — 27 პროცენტით, სატყეო, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელ მრეწველობაში — 9 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებანი მსუბუქ და კვების მრეწველობაში გადიდდა 9 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 21 პროცენტით, საბინაო მშენებლობაში — 29 პროცენტით.

დიდი მოცულობით განხორციელდა კოლმეურნეობათა კაპიტალური დაბანდებანი.

1957 წელს ამუშავდა დაახლოებით 800 ახალი დიდი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო. შესრულებულია თუჯის, ალუმინის, სინთეზური კაუჩუკის, კალცინირებული სოდის წარმოების სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმა, რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაციის გეგმა.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურში გასულ წელს ამუშავდა რვა ჰიდროტურბინი, რომელთა გათვალისწინებით მიღწეულია სადგურის 2.100 ათასი კილოვატი საპროექტო სიმძლავრე. სამრეწველო დენი მოგვცეს ნოვოსიბირსკის ჰიდროელექტროსადგურის პირველმა აგრეგატებმა, რასთან დაკავშირებით დასავლეთმა ციმბირმა მიიღო იაფი ელექტროენერგიის ახალი წყარო. ირკუტსკის ჰიდროელექტროსადგურში ამოქმედდა ოთხი ტურბინი. საექსპლოატაციოდ გადაეცა ელექტროგადაცემის ხაზი ირკუტსკის ჰიდროელექტროსადგურიდან ბრატსკის ჰესის მშენებლობისაკენ. ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში კაირაკ-უმის ჰესმა, 1957 წელს ოთხი ტურბინის ამოქმედების შემდეგ, მიაღწია 120 ათასი კილოვატ საპროექტო სიმძლავრეს.

1957 წელს ამუშავებული ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ შეადგინა დაახლოებით 5 მილიონი კილოვატი, აქედან ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრემ — 1,5 მილიონი კილოვატი. დიდი რაოდენობით ამუშავებულია მძლავრი აგრეგატები თბოელექტროსადგურებში.

ამუშავდა ბრძმედები ქალაქების სტალინოს, ალჩევსკის, მაკეევკისა და ჟდანოვის მეტალურგიულ საწარმოებში; მავთულის დიდი დგანი და ორი ბესემერის კონვერტერი კრივოი როგის მეტალურგიულ ქარხანაში, საგლინავი დგანი ნოვო-ლიპეცკის მეტალურგიულ ქარხანაში, მილების დასამზადებელი დგანი და ბლუმინგი ბაქოს მილის ქარხანაში; მარტენის ღუმელები „აზოვსტალის“, „ზაპოროჟსტალის“ ალჩევსკის, ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხნებში და ნიენი ტაგილის კომბინატში, კოქსის ბატარიები ჩერეპოვეცის მეტალურგიულ, ბაგლეის კოქსქიმიურ ქარხნებში და ნიენი ტაგილის კომბინატში.

მწყობრში ჩადგნენ ახალი კოქსქიმიური ქარხანა უკრაინაში და სოკოლოვსკის მაღარო ყაზახეთში. პირველი მადანი მოგვცა აბაკანის მაღარომ ციმბირში.

აშენდა და ამუშავდა 95 დიდი ქვანახშირის შახტი და ჭრილი, აქედან 37 შახტი აშენდა კომკავშირელთა ძალებით, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მოწოდებით ნებაყოფლობით მივიდნენ სამუშაოდ ამ მშენებლობებზე. მწყობრში ჩადგა სტალინგრადისა და ჩერნიკოვის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მთელი რიგი დანადგარები. საექსპლოატაციოდ გადაეცა ალმეტიევსკ-გორკის 580 კილომეტრი სიგრძის ნავთობსადენი, სტავროპოლ-მოსკოვის გაზსადენის მეორე ხაზი 479 კილომეტრი სიგრძის უბანზე, შებელინკა-დნეპროპეტროვსკის 202 კილომეტრი სიგრძის გაზსადენი. პროდუქციის მოცემა დაიწყეს სარატოვისა და კუიბიშევის სინთეზური სპირტის ქარხნებმა.

დიდი რაოდენობით აშენდა ცემენტის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და სხვა საშენ მასალათა მწარმოებელი საწარმოები მათ შორის: ალექსეევკის, ემანჟელინსკისა და ნოვოზოდოლბუნოვის ცემენტის ქარხნები. სვერდლოვსკის, ხაბაროვსკისა და ლენინგრადის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნები. მწყობრში ჩადგნენ ახალი ტექნოლოგიური ხაზები ცემენტის ქარხანა „ოკტიაბრში“, პერვომაისკის, ბრიანსკის, ნოვოამვროსიევკის, ნიკოლაევის, ჩერნორეჩენსკის ცემენტის ქარხნებში. სულ 1957 წელს ამუშავდა სიმძლავრეები, რომლებიც წელიწადში 3,6 მილიონ ტონა ცემენტს აწარმოებენ.

გაიზარდა საწარმოო სიმძლავრეები მსუბუქ და კვების მრეწველობაში. ამუშავდა ივანოჩისა და ბუჩაჩის შაქრის ქარხნები უკრაინაში; დროკოსა და დონდიუშანის შაქრის ქარხნები მოლდავეთში; კანიბადამის ზეთის საექსტრაქციო ქარხანა ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში; კლაიპედის თევზის საკონსერვო ქარხანა ლიტვის სს რესპუბლიკაში; დიდი რაოდენობით ამუშავდა რძის, ერბო-კარაქისა და ყველის, საკონსერვო ქარხნები და პურის ქარხნები.

ელექტროფიცირებულია რკინიგზის ხაზები შემდეგ უბნებზე: ჩელიაბინსკი-კურგანი-მაკუშინო, ბელოვო-პოლიმშლენაია, რაევკა-პოხვისტნევო, სიზრან-კინელი, კლინ-კალინინი, სერპუხოვ-ტულასკურატოვო, ელეზნოდოროჟნაია-ფრიაზევო-ნოგინსკი, ბელორეჩენსკაია-ტუაფსე, ამოქმედდა ჭიათურის რკინიგზის ხაზის ახალი ელექტროფიცირებული ხაზი.

ამასთან ერთად სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა შესრულებული არ არის. კერძოდ, შესრულებული არ არის ახალი მაღაროების, ქვანახშირის შახტების, ცემენტის ქარხნებისა და მსუბუქი და კვების მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს ამუშავების გეგმა.

1957 წელს გრძელდებოდა სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარება. **მოიჯარე ორგანიზაციებმა გადაჭარბებით შეასრულეს სამშენებლო-სამონტაჟო სამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

გეგმა და სამუშაოთა მოცულობა გაადიდეს 11 პროცენტით 1956 წელთან შედარებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისადმი დაქვემდებარებული მოიჯარე ორგანიზაციების მიერ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1957 წელი პროცენტით 1956 წელთან შედარებით
რუსეთის სფსრ	103	114
აქედან:		
„გლავმოსსტროი“	104	116
„გლავმოსობლსტროი“	106	125
„გლავლენინგრადსტროი	106	114
უკრაინის სსრ	103	121
აქედან:		
„გლავკიევსტროი“	103	131
ბელორუსიის სსრ	103	120
უზბეკეთის სსრ	92	133
ყაზახეთის სსრ	90	110
საქართველოს სსრ	98	119
აზერბაიჯანის სსრ	97	111
ლიტვის სსრ	93	126
მოლდავეთის სსრ	99,8	115
ლატვიის სსრ	99,5	136
ყირგიზეთის სსრ	103	140
ტაჯიკეთის სსრ	97	119
სომხეთის სსრ	99,8	126
თურქმენეთის სსრ	100,2	118
ესტონეთის სსრ	97	125

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საგზაო მშენებლობის მთავარმა სამმართველომ — 97 პროცენტით.

მშენებლობაში გადიდდა ტიპური პროექტების გამოყენება, უფრო ფართოდ იყენებდნენ ინდუსტრიულ მეთოდებს. მნიშვნელოვნად გადიდდა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენება, რომელთა გამოშვება 1956 წელთან შედარებით 52 პროცენტით გადიდდა, მაგრამ მათი წარმოების საგეგმო დავალებანი ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში, მათ შორის რუსეთის სფს რესპუბლიკაში, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, შესრულებული არ არის. ბევრი სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტის მშენებლობა მთელ რიგ შემთხვევებში ჭიანურდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, რაც ხშირად იწვევდა ასამუშავებელი ობიექტების ამოქმედების ვადების შეუსრულებლობას.

გასულ წელს მშენებელი ორგანიზაციების მეტი ნაწილი რენტაბელურად მუშაობდა. მშენებელმა ორგანიზაციებმა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება 1956 წელთან შედარებით შეამცირეს ერთი პროცენტით, მაგრამ მშენებლობის ღირებულების შემცირების საგეგმო დავალება შესრულებული არ არის.

VI. მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა და შრომის ნაყოფიერების ზრდა

მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1957 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 52 მილიონ 100 ათას კაცს და 2 მილიონ 100 ათასი კაცით მეტი იყო, ვიდრე 1956 წლის დამლევისათვის.

საწარმოო დარგებში — მრეწველობაში, მშენებლობაში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში მუშების, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების საერთო რაოდენობა წელიწადში გადიდდა თითქმის 1 მილიონ 700 ათასი კაცით.

სკოლების, სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა რაოდენობა წელიწადში გადიდდა 300 ათასი კაცით, ვაჭრობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რაოდენობა — 100 ათასზე მეტი კაცით.

სამინისტროების, უწყებებისა და სხვა სამმართველო ორგანიზაციების აპარატის მუშაკთა რაოდენობა სახალხო მეურნეობის საბჭოების ახლად ორგანიზებული აპარატის გათვალისწინებით წელიწადში შემცირდა 56 ათასი კაცით. ამის შედეგად განთავისუფლებული მუშაკები გადაყვანილ იქნენ უშუალოდ წარმოებაში.

1957 წელს. ისევე როგორც წინა წლებში, ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა არ ყოფილა.

გასულ წელს ტექნიკური სასწავლებლები, სახელოსნო, რკინიგზისა და სამთო-სამრეწველო სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო სკოლები, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლები დაამთავრა 686 ათასმა ახალგაზრდა კვალიფიციურმა მუშამ, აქედან სამუშაოდ მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე გაიგზავნა 361 ათასი კაცი და სოფლის მეურნეობაში — 325 ათასი კაცი.

ინდივიდუალურ-საბრიგადო მოწაფეობისა და კურსებზე სწავლების გზით გასულ წელს კვალიფიკაცია აიმაღლა და ახალ პროფესიებს დაეუფლა 7 მილიონ 800 ათასი მუშა და მოსამსახურე.

შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა 1957 წელს მრეწველობასა და მშენებლობაში გადაჭარბებით შესრულებულია.

მუშების შრომის ნაყოფიერება 1956 წელთან შედარებით გადიდდა მრეწველობაში 6,5 პროცენტით და მშენებლობაში — 10 პროცენტით. ამასთან 1957 წლის მეორე ნახევარში შრომის ნაყოფიერება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა მრეწველობაში 7,2 პროცენტით და მშენებლობაში — 11 პროცენტით.

სახელმწიფო მრეწველობის მუშების შრომის ნაყოფიერება 1956 წელთან შედარებით გადიდდა: შავ მეტალურგიაში — 5 პროცენტით (1957 წლის მეორე ნახევარში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებისას), ფერად მეტალურგიაში — 11 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში — 2,4 პროცენტით (დონბასის ქვანახშირის მუშებისათვის სამუშაო დღის შემცირებისას), ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში — 15 პროცენტით, ქიმიურსა და რეზინის მრეწველობაში — 7 პროცენტით, მანქანათმშენებელ და ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში — 9 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 4 პროცენტით და კვების მრეწველობაში — 6 პროცენტით.

მუშების შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მრეწველობაში შესრულებულია გადაჭარბებით.

მუშების შრომის ნაყოფიერების ზრდა მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობაში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1957 წელს პროცენტობით 1956 წელთან შედარებით
რუსეთის სფსრ	107
უკრაინის სსრ	105
ბელორუსიის სსრ	109
უზბეკეთის სსრ	106
ყაზახეთის სსრ	105
საქართველოს სსრ	102
აზერბაიჯანის სსრ	104
ლიტვის სსრ	114
მოლდავეთის სსრ	109
ლატვიის სსრ	110
ყირგიზეთის სსრ	105
ტაჯიკეთის სსრ	103
სომხეთის სსრ	102
თურქმენეთის სსრ	103
ესტონეთის სსრ	109

VII. ნაციონალური შემოსავლის ზრდა და ხალხის ცხოვრების მაჯერიალური და კულტურული დონის ამაღლება

1957 წელს მიღწეულია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება. **სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი, შესადარ ფასებში, 1957 წელს 1956 წელთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა.**

გასულ წელს პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება.

1957 წლის 1 იანვრიდან გადიდდა მცირეშემოსავლიან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და გაუქმდა მათთვის ვადასახადის გადახდევინება. 1958 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სსრ კავშირის უცოლშვილო-უქმარშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინება მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისათვის, რომლებსაც შვილები ჰყავთ, აგრეთვე მარტოხელა ქალებისათვის.

1957 წელს გრძელდებოდა მრეწველობის მუშების გადაყვანა შემცირებულ სამუშაო დღეზე. 1956 წლის მეოთხე კვარტალში შემცირებულ სამუშაო დღეზე გადაყვანილი დონბასისა და ლვოვ-ვოლინის ქვანახშირის აუზის ქვანახშირის შახტების მიწისქვეშა მუშების დამატებით 1957 წელს ხორციელდებოდა შემცირებულ (მვიდი და ექვსი საათის) სამუშაო დღეზე შავი მეტალურგიის სამთამადნო, მეტალურგიული და კოქსქიმიური საწარმოების მუშა-მოსამსახურეებისა და მრეწველობის სხვა დარგების ცალკეულ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების გადაყვანა. შემცირებულ სამუშაო დღეზე გადაყვანა ხდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის შეუმცირებლად. ამასთან შავი მეტალურგიის საწარმოებში, დონბასისა და ლვოვ-ვოლინის ქვანახშირის აუზის შახტებში, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების ცალკეულ საწარმოებში, გადიდების მხრივ სატარიფო განაკვეთების და შრომის ანაზღაურების სხვა პირობების გადასინჯვასა და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით, მუშების ხელფასი შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასვლის შემდეგ გაიზარდა.

სახელმწიფო პენსიების კანონის შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს ხარჯები პენსიების გაცემაზე. **1957 წელს მოსახლეობამ მიიღო 57,9 მილიარდი მანეთი პენსიები, ნაცვლად 36,5 მილიარდი მანეთისა 1956 წელს, ანუ 21,4 მილიარდი მანეთით მეტი.**

ისევე როგორც წინა წლებში, მოსახლეობა სახელმწიფოს ხარჯზე იღებდა დახმარებას და შემწეობას მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის ხაზით, პენსიების სოციალური უზრუნველყოფის ხაზით, დახმარებას მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, სტიპენდიებს მოსწავლეებისათვის, უფასო სამედიცინო დახმარებას, უფასო და შეღავათიან საგზურებს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, უფასო სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას და მთელ რიგ სხვა შემწეობასა და შეღავათს. გარდა ამისა, ყველა მუშა და მოსამსახურე იღებდა სულ ცოტა ორი კვირის, ხოლო მთელი რიგი პროფესიების მუშაკები უფრო ხანგრძლივ შვებულებას ხელფასის შენარჩუნებით. **1957 წელს მოსახლეობამ მიიღო ყველა აღნიშნული შემწეობა და შეღავათი 201 მილიარდ მანეთზე მეტი თანხისა, რაც თითქმის 33 მილიარდი მანეთით ანუ 19 პროცენტით მეტია, ვიდრე 1956 წელს.**

დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება მოსახლეობის შემოსავლის გადიდებისათვის იყო მოსახლეობის გადასახდელთა შემცირება სესხზე ხელმოწერით 1957 წელს 1956 წელთან შედარებით 14,4 მილიარდი მანეთით და მომავალში სახელმწიფო სესხებზე ხელმოწერის სრული გაუქმება.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასაქონლო პროდუქციის ზრდამ შესაძლებელი გახადა გაუქმებულიყო 1958 წლიდან სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარება კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ, რომლებიც ამ გზით მოიგებენ სამ მილიარდ მანეთზე მეტს წელიწადზე გაანგარიშებით.

სასაქონლო პროდუქციის ზრდის, აგრეთვე 1953-1957 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დასამზადებელი და შესასყიდი ფასების ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი. **მარტო სახელმწიფოსათვის ჩაბარებული და მიყიდული პროდუქციის ფასების გადიდების გზით კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1957 წელს თითქმის 50 მილიარდი მანეთით მეტი მიიღეს, ვიდრე 1952 წელს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული და მიყიდული პროდუქციის მოცულობის ზრდას, კოლმეურნეობათა და მოსახლეობის შემოსავალი 1952-1957 წლებში გაიზარდა 64 მილიარდი მანეთით.**

კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი საკოლმეურნეო კომლზე გაანგარიშებით 1956 წელთან შედარებით, წინასწარი მონაცემებით, გაიზარდა 6 პროცენტით, ხოლო 1952 წელთან შედარებით — 2,4-ჯერ.

მუშების, მოსამსახურეებისა და გლეხების ფულადი შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით მოსახლეობის ანაბრები შენნახველ სალაროებში წლის მანძილზე გაიზარდა 16,8 მილიარდი მანეთით.

ნაციონალური შემოსავლის ზრდისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაიზარდა მშრომელთა რეალური შემოსავალი. **მუშებისა და მოსამსახურეების რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 1957 წელს 1956 წელთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით, ხოლო გლეხების ფულადი და ნატურალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით — 5 პროცენტით.**

მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის მიერ საქონლის შეძენა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში. საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა ვადამდე შესრულდა. **სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ერთო მოცულობამ (ცენტროსოიუზის საკომისიო ვაჭრობის ჩაუთვლელად) 1957 წელს შეადგინა 616,5 მილიარდი მანეთი და 1956 წელთან შედარებით გაიზარდა, შესადარ ფასებში, 14 პროცენტით, მაშინ როცა წლიური გეგმით ზრდა გათვალისწინებული იყო 10 პროცენტით.** სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვა, რომელიც ვაჭრობას ეწევა სოფელ ადგილებში, გაზრდა 17 პროცენტით. ცენტროსოიუზის საკომისიო ვაჭრობის ბრუნვამ შეადგინა 7,7 მილიარდი მანეთი და 1956 წელთან შედარებით გაიზარდა, შესადარ ფასებში, 26 პროცენტით.

1957 წელს მოსახლეობას მიეყიდა 19,5 მილიარდი მანეთით მეტი საქონელი, ვიდრე გათვალისწინებული იყო გეგმით, და 75,7 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1956 წელს. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქონელბრუნვა 1956 წელთან შედარებით გაიზარდა 4 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმის შესრულება მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი 1957 წელს	გაყიდულია 1957 წელს პროცენტობით 1956 წელთან შედარებით
რუსეთის სფსრ	102	113
უკრაინის სსრ	105	117
ბელორუსიის სსრ	107	119
უზბეკეთის სსრ	103	119
ყაზახეთის სსრ	104	116
საქართველოს სსრ	106	113
აზერბაიჯანის სსრ	106	113
ლიტვის სსრ	114	122
მოლდავეთის სსრ	108	120
ლატვიის სსრ	111	118
ყირგიზეთის სსრ	107	117
ტაჯიკეთის სსრ	103	113
სომხეთის სსრ	110	117
თურქმენეთის სსრ	106	117
ესტონეთის სსრ	109	115

ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შეიცვალა შემდეგნაირად:

	გაყიდულია 1957 წელს პროცენტობით 1956 წელთან შედარებით
ხორცი, ძეხვეული და ხორცის პროდუქტები	119
თევზის პროდუქტები	108
ერბო-კარაქი	110
რძე და რძის პროდუქტები	127
ყველი	113
კვერცხი	120
შაქარი	108
საკონდიტრო ნაწარმი	108
ჩაი	108
ბოსტნეული	104
ხილი	135
ბამბის ქსოვილები	102
შალის ქსოვილები	120
აბრეშუმის ქსოვილები	121
სელის ქსოვილები	122
ტანსაცმელი და თეთრეული	118
ტრიკოტაჟის ნაწარმი	125
წინდები	115
ტყავის ფეხსაცმელი	118
მოთელილი ფეხსაცმელი	102
რეზინის ფეხსაცმელი	108
საპონი	108
ავეჯი	116
მაჯის საათები	130
საკერავი მანქანები	118
მაცივრები	137
სარეცხი მანქანები	202
მტვერსასრუტები	163
ფოტოაპარატები	113
მოტოციკლები	110
ველოსიპედები	112
რადიომიმღებები	92
ტელევიზორები	112

მოსახლეობისა და კოლმეურნეობებისათვის საწარმოო დანიშნულების საქონლის მიყიდვა გაიზარდა შემდეგი ოდენობით: ცემენტისა — 23 პროცენტით, შიფერისა — 30 პროცენტით, რბილი სახურავისა — 22 პროცენტით, ლურსმნისა — 16 პროცენტით, ფანჯრის მინისა — 12 პროცენტით, სატვირთო ავტომობილებისა — 2 პროცენტით, დახერხილი მასალებისა — 3 პროცენტით, სტანდარტული სახლებისა — 25 პროცენტით. ამასთან რამდენადმე შემცირდა სამასალე მერქნის გაყიდვა.

მიუხედავად სახალხო მოხმარების საქონლის გაყიდვის მნიშვნელოვანი ზრდისა, მოსახლეობის მოთხოვნა ზოგიერთ საქონელზე, კერძოდ ბამბის ქსოვილებსა და ტყავის ფეხსაცმელზე, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდებოდა. მთლიანად ვერ კმაყოფილდებოდა აგრეთვე მოსახლეობისა და კოლმეურნეობების მოთხოვნილება სანშენ მასალებსა და სათბობზე. საბინაო მშენებლობის მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნა ავეჯზე, ამავე დროს მოსახლეობის მოთხოვნილება ავეჯზე საკმაოდ ვერ კმაყოფილდებოდა.

გაიზარდა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ასორტიმენტი, მაგრამ არსებული სავაჭრო ქსელი ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვა, გადიდდა მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში, რამაც უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში ფულის მომოქცევის შემდგომი განმტკიცება.

მიღწეულია შემდგომი წარმატებანი სოციალისტური კულტურის ყველა დარგში.

სსრ კავშირში მოსწავლეთა რიცხვმა, ყველა სახეობის სწავლების ჩათვლით, 1957 წელს შეადგინა 50 მილიონი. მოსწავლეთა რიცხვი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1957/58 სასწავლო წელს წინა სასწავლო წელთან შედარებით გაიდიდა 500 ათასით. ამ პერიოდში გაიხსნა 1.700 ახალი საშუალო სკოლა. 1957 წელს საშუალო სკოლები დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 1 მილიონ 500 ათასმა კაცმა.

უმაღლეს სასწავლებლებში (მათ შორის დაუსწრებლებში) სწავლობდა 2 მილიონზე მეტი სტუდენტი. გასულ წელს უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე მიღებულ სტუდენტთა 27 პროცენტი არის ახალგაზრდობა, რომელსაც აქვს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში (მათ შორის დაუსწრებლებში) სწავლობდა დაახლოებით 2 მილიონი კაცი.

1957 წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და მოზრდილთა სკოლებში სწავლობდა 3 მილიონ 500 ათასზე მეტი კაცი.

უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა წლის განმავლობაში გამოუშვეს 770 ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი.

გასულ წელს შეიქმნა მთელი რიგი ახალი უმაღლესი სასწავლებლები. უნივერსიტეტები მოეწყო ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკაში, დაღისტნის ასს რესპუბლიკასა და მორდვეთის ასს რესპუბლიკაში.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის კანონის შესაბამისად, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებასთან დაკავშირებით, 1957 წელს 170-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულება, სახალხო მეურნეობის კონკრეტულ საჭიროებასთან მათი საქმიანობის დაახლოების მიზნით, გადაეცა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გამგებლობაში. ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალების უსწრაფესი განვითარების მიზნით დაიწყო ახალი უდიდესი სამეცნიერო ცენტრის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების შექმნა. შეიქმნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები უკრაინის სს რესპუბლიკაში, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში, ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და საქართველოს სს რესპუბლიკაში.

მეცნიერ მუშაკთა საერთო რიცხვი ჩვენს ქვეყანაში შეადგენს 260 ათასზე მეტს და 1956 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 9 პროცენტით, ამასთან მეცნიერ მუშაკთა რიცხვი ტექნიკისა და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დარგში გაიზარდა 12 პროცენტით. 96 ათასზე მეტ მეცნიერ მუშაკს აქვს მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

შემდგომ განვითარდა კინო. გასულ წელს გამოშვებულია 141 ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმი, აქედან 99 მხატვრული და 42 ქრონიკალურ-დოკუმენტალური და სამეცნიერო-პოპულარული, აგრეთვე 530-ზე მეტი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, გარდა კინოჟურნალებისა. კინოდანადგართა რიცხვი 1957 წლის დამლევისათვის შეადგენდა 69 ათასს და წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6 ათასით. 1957 წელს კინოსეანსებს დაესწრო 3 მილიარდზე მეტი კაცი და წინა წელთან შედარებით დასწრება გაიზარდა დაახლოებით 200 მილიონით.

გასულ წელს გამოცემული წიგნების ტირაჟმა შეადგინა 1,1 მილიარდი ცალი; გაიზარდა გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების ტირაჟი.

1957 წელს გრძელდებოდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება. გაფართოვდა საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, დისპანსერების, სანატორიუმების, საბავშვო ბაღების, საბავშვო ბაღების ქსელი. შეიქმნა სანიტარულ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებათა ფართო ქსელი. საწოლების რიცხვი საავადმყოფო დაწესებულებებში 1956 წელთან შედარებით გაიზარდა 30 ათასით და მეტით. ადგილების რიცხვი მუდმივ საბავშვო ბაღებში — 82 ათასით, საწოლების რიცხვი სანატორიუმებში — თითქმის 8 ათასით. ექიმებისა რიცხვი გაიზარდა თითქმის 17 ათასით. მედიკამენტების სამედიცინო მოწყობილობისა და ინსტრუმენტების წარმოება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 18 პროცენტით.

გასული წლის ზაფხულში 6 მილიონზე მეტი ბავშვი და მოზარდი ისვენებდა პიონერთა ბანაკებში, საბავშვო სანატორიუმებში, საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში, ან ზაფხულის პერიოდში იყო აგარაკებზე საბავშვო ბაღებში, საბავშვო სახლებსა და საბავშვო ბაგებში.

ნიშშნელოვანი ოდენობით გაიზარდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მოცულობა.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა მშენებლებმა მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით საბინაო მშენებლობაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებით „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ დასახეს ამოცანა უახლოეს 10-12 წელიწადში ჩვენს ქვეყანაში აღმოიფხვრას ბინების ნაკლებობა. ამ დადგენილებით 1957 წლის დავალება ბინების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დარგში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, აგრეთვე მოსახლეობის სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ქალაქებში, მუშათა დაბებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში საბჭოთა მეურნეობებსა და სატყეო სამრეწველო მეურნეობებში გადიდდა საერთო საცხოვრებელი ფართობის 46-დან 47 მილიონ კვადრატულ მეტრამდე. ეს დავალება გადაჭარბებით შესრულდა. 1957 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა (გარდა მშენებლობისა, რომელიც განახორციელეს კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ) 48 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები; ამასთან სახალხო მშენებლობის მეთოდით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა დაახლოებით 3 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

გარდა ამისა, კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ გასულ წელს ააშენეს 770 ათასი საცხოვრებელი სახლი.

თუმცა მთლიანად სსრ კავშირში გადაჭარბებით შესრულდა საბინაო მშენებლობის დავალებანი, მაგრამ რამდენადმე ვერ შესრულდა საბინაო მშენებლობის გეგმა ბელორუსიის, ყაზახეთის, ლიტვის, მოლდავეთისა და სომხეთის სს რესპუბლიკებში, თუმცა ამ რესპუბლიკებშიც აშენებულია გაცილებით მეტი ბინები, ვიდრე 1956 წელს.

კაპიტალური დაბანდებანი სკოლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობაში 1957 წელს გაიზარდა 33 პროცენტით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საექსპლოატაციოდ გადაცემა გადიდდა 16 პროცენტით, საავადმყოფოების და პოლიკლინიკებისა — 40 პროცენტით, საბავშვო ბაღებისა — 21 პროცენტით, საბავშვო ბაგებისა — 30 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე მრავალი კინოთეატრი, კლუბი, სასპორტო ნაგებობა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა შენობები. მაგრამ ამ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა ვერ შესრულდა.

გასულ წელს გრძელდებოდა მუშაობა ქალაქების, დაბებისა და სოფლის რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის, მოქმედი კომუნალური საწარმოების — წყალსადენების, კანალიზაციის, აბანოების, სამრეცხაოების ქსელის გაფართოებისა და ახალი საწარმოების მშენებლობისათვის, ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტობუსის მიმოსვლის გაფართოებისათვის, საცხოვრებელი სახლების თბოფიკაციისა და გაზიფიკაციისათვის.

1957 წელს კვლავ ფართოვდებოდა ეკონომიური ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან. **სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ შეადგინა დაახლოებით 33 მილიარდი მანეთი, ნაცვლად 29 მილიარდი მანეთისა 1956 წელს, ესე იგი გაიზარდა 13 პროცენტით.**

* * *

1957 წელს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ სსრ კავშირის სოციალისტური ეკონომიკის განუხრელ ზრდას და ცხადყოფენ, რომ საბჭოთა ხალხმა, რომელიც ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ახალ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, თავისი მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

რედაქტორი პ. რატიანი.

ფე 00222 საქართველოს კპ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.